

საქართველოს სისტემის უდერა-
ლის მინისტრი სარეფოლიუციო პარტია.

№ 4

ამიერ-ქავკასიოს თვითმართველობა

ზასი ეჭვი შაუჩი.

თბილისი.

სტამბა „ქართლი“ ციციშვილისა.



საქართველოს სოციალისტ ფედერა-
ლისტთა სარეგოლიური ბარტია.

№ 4

35482

ქართველ კავკასიონ თვითმართველობა



აძლევა .

სტამბა „ქართლი“ ციციშვილისა.

ამიერ-ქართველების თვითმმართველობა

ძელი რეუიმის დამხობის შემდეგ
რუსეთი სარევოლუციო გარდაქმნის
ხანაში იმყოფება. რევოლუციამ უარ
ჰყო ყოველგვარი პოლიტიკური, სარ-
წმუნოებრივი და ეროვნული შევიწრო-
ვება; ეს უარყოფა რევოლუციონური
დეკლარაციაა, რომელსაც ლოლიკუ-
რად განუყოფელი კავშირი აქვს იმ
შემოქმედებითს მუშაობასთან, რომ-
ლის მიზანსაც შემდგენს თავისუფლე-
ბათა და თანასწორობის რეალიზაცია.
რამდენადაც ძელი რუსეთი ავიწრო-
ვებდა და ჰიბრიკავდა ადამიანს, რო-
გორც კერძო პიროვნებას. პოლიტი-
კური და სამოქალაქო თავისუფლება
უჭირა განხორციელებულია რევოლუ-

ციის გამარჯვების პირველ დღეები-
დანვე. ამისათვის სრულიად საკმაო
იყო შეწყვეტა ძველ მთავრობის ისეთი
დაწესებულაბათა მოქმედებისა, რო-
მელნიც საგანგებოდ საპოლიტიკო და
სამოქალაქო თავისუფლების ასალა-
გმავად იყვნენ დაწესებული. გაცილე-
ბით მეტს სრძნელეს შეიცავს თავი-
სუფლების და თანასწორობის რეალი-
ზაცია იქ, სადაც ძველი რეჟიმი ავი-
წროვებდა სოციალურ კოლექტივებს
და ჯვაფებს. აქ შევიწროვების მექა-
ნიზმი მჭიდროდ გადასკვნილ-განახ-
ლართულია სახელმწიფოს მართვა-გან-
გების საერთო მექანიზმთან. ამიტომ
თავისუფლების რეალიზაცია სოცია-
ლურ კოლექტივების ცხოვრებაში
არ შეიძლება განხორციელდეს მარტო-
ოდენ რევოლუციის გამანადგურებელ
და უარყოფითი მოქმედებით. აქ ძვე-
ლი რეჟიმის მართვა-გამგეობის მექა-
ნიზმი უნდა გაუქმდეს, მაგრამ მის
მაგიერ გაუქმების უმაღლ უნდა დაი-
წყოს მოქმედება მართვა-გამგეობის

ახალმა სისტემამ. მ.შასალამე, ეს ახალი სისტემა უნდა შემუშავდეს და მოეწყოს, რათა ძველის ადგილი დაიკიროს. რევოლუციის შემოქმედებითი ძალა სწორეთ ამ ახალ სისტემის შექმნაში უნდა გამოიხატოს.

რუსეთის განაპირა ქვეყნებში ძველი რეფიმი ზღუდავს არა მარტო პიროვნულ თავისუფლებას, არამედ ამასთანავე ერთად ავიწროვებდა ამ ქვეყნების ადგილობრივ მცხოვრებთა ეროვნულ კულტურულ წილებს. ეს შევიწროვება გამოიხატებოდა ერთის მხრივ იმაში, რომ ძველი რეფიმი სახელმწიფო ბატონობას იყენებდა ადგრლობრივ მცხოვრებთა რუსეთიკაციისთვის, და მეორეს მხრივ იმაში, რომ აკრძალული იყო ეროვნული თვითმართვულობა. ამიტომ, ძველი რეფიმის რევოლუციონური ლიკვიდაცია თხულაბს განაპირა ქვეყნებისთვის წინანდელ მართვა-გამგეობის ნაცვლად ისეთ წესწყობილების დაწყარებას, რომელიც

უოფლის უწინარეს თავისუფალი უნდა
იყოს გარუსების პოლიტიკისაგან. ერი მოძრავი სოციალური ერთეულია; ის ან წინ მიღის, ან უკან იწევს. ამის ერთ წერტილზე გაჩერება შეუძლებელია. მარტო ის, რომ უარყოფალ იქმნას, როგორც ერთ-ერთი მიზანი მართვა-გამგეობისა, არა კმარა ერის განვითარებისთვის. ამისთვის საჭიროა ეროვნულ კოლეგიტივის ეროვნული ორგანიზაცია ე. ი. ეროვნული თვითმმართველობა. როგორ უნდა მოეწყოს ახალ რუსეთში არა რუსთა ეროვნული თვითმმართველობა, რომ განვითარების თავისუფალი გზა მიეცეს რუსეთში მოსახლე ყველა ერს? — აი ეს რთული და მძიმე საკითხი აიმართა რევოლუციის გამარჯვებასთან ერთად როგორც პოლიტიკური პრობლემა, რომელიც უნდა გადასწყვიტოს ახალმა რუსეთმა. ჯერ-ჯერობით რუსეთის საჩვენოლუციო მთავრობამ საბოლოოდ გადასწყვიტა პოლონეთის და ფინლანდიის საკითხი.

პოლონეთი ცნობილ იქმნა დამოუკი-
დებელ სახელმწიფოდ, ხოლო ფინლან-
დიის შესახებ გაუქმებულ იქმნენ ყველა
კანონები, რომელნიც 1906 წლიდან
გამოსცა რუსეთის ძველმა მთავრო-
ბამ სახელმწიფოებრივ მდგომარეობის
შესავიწროვებლად და გასაუქმებლად.
პოლონეთის და ფინლანდიის საკითხე-
ბი ყველა სხვა განაპირა ქვეყნის სა-
კითხზე აღვილი გადასაწყვეტი იყო:
პოლონეთის საკითხი — იმიტომ რომ
იგი ომმა გაამარტივა, ფინლანდიისა —
იმიტომ რომ ეს ქვეყანა წინათვე მო-
წყობილი იყო, როგორც სახელმწიფო,
რომელსაც განსაზღვრული კავშირი
აქვს რუსეთთან. კავკასიის, უკრაინის,
ლიტვის, ციმბირის და სხვა განაპირა
ქვეყნების და იქ მოსახლე ერების სა-
კითხები გაცილებით უფრო ძნელი
გადასაწყვეტი არიან. ახალს რუსეთ-
ში არა რუსთა ერების ეროვნულმა
მოძრაობამ თავის დევიზად თითქმის
ყველგან ავტონომია გაიხადა. ავტო-
ნომიას თხოულობენ უკრაინის და

ლიტვის ყველა პარტიები, ცამბირე-
ლები, მოლდაველები, მოლოროსიე-
ლები, ლატიშები, ე' ტები, უირგიზები,
და სომხების და ქართველების ზოგი
პარტიები. საქართველოს ტერიტო-
რიალურ ავტონომიას თხოულობს სხვა-
თა შორის ქართველ სოციალისტ-ფე-
დერალისტთა პარტია.

ავტონომია ისეთი დამთავრებული
ცნება არ არის, რომ იმისი შინაარსი
ყველგან და ყველას ერთნაირად ეს-
მოდეს.

ავტონომია აუცილებლად გულის-
ხმობს ერთგვარ დ მოუკიდებლობას, მაგრამ ხარისხი ამ დამოუკიდებლო-
ბისა ისე, როგორც კომპეტენცია ავ-
ტონომიურ მმართველობისა სხვა და
სხვა ნაირი შეიძლება იყოს. ავტონო-
მიას ეძახიან ინგლისის კოლონიების
თვითმმართველობასაც, რომელიც თი-
თქმის არაფრით არ განსხვავდება სრუ-
ლიად დამოუკიდებელ მმართველობი-
საგან საკონსტიტუციო მონარქიებში;
მაგრამ ავტონომიას ეძახიან აგრეთვე

სოფლების (კომიუნების) და ქალაქების თვითმმართვ ლობას, რომელიც მხოლოდ ადგილობრივ სოფლის ან ქალაქის საქმეებს სწავეტს. ავტონომიას ეძახიან ტერიტორიალურ ერთეულებს, მაგრამ ხშირად ავტონომიას ეძახიან აგრეთვე უტერიტორიო კაფშირების და ორგანიზაციების თვითმმართველობასაც. ამ გვარად, ავტონომია მეტად ფართო ცნებაა, რომელსაც სხვა და ხვა აზრით ხმაურობენ. თავის თავად ცხადია, რომ პრაქტიკულად წამომდგარ ეროვნულ საკიონის გადასაწყვიტად საკმაოდ დერჩაითვლება ავტონომიის მოთხოვნა, თუ ამ ცნებას გარკვეული შინაარსი და მნიშვნელობა არ მიეცა.

ყველა იმ ერებს, რომელთა წრეებიდანაც ავტონომიის მოთხოვნა გაისმის, განსაზღვრული ტერიტორია უჭირავთ. თუმცა არც ერთი ისეთი ცოტად თუ ბევრად მოზრდილი კუთხე არ მოიპოვება მთელ რესეტის სივრცეზე, რომ იმისი მოსახლეობა მთლად

ერთს რომელსამე ერს შეადგენდეს, თუმცა ყველგან ეროვნულად შერეული მოსახლეობაა, მაგრამ მაინც ყველგან ერთის რომლისამე ერის მოსახლეობა თვალისაჩინზე უმრავლესობას შეადგენს.

თანამედროვე ეკონომიურ პირობებში იქ, საღაც კაპიტალისტური წესი წარმოებისა თვალსაჩინოდ არის გაბატონებული, ადგილობრივ მცხოვრებთა სრული ეროვნული ერთსახეობა არსად არ არის დაცული. ამიერ-კაგკასიაში მოსახლეობის ეროვნული შერეფა გამოწვეულია აგრეთვე ერთის მხრივ იმ პოლიტიკით, რომელსაც აწარმოებდა რუსეთის ძველი რეჟიმი, და მეორეს — იმ გარემოებით, რომ მრავალ საუკუნეთა განმავლობაში სპარსეთიდან და მცირე აზიიდან ამიერ კავკასიის მკვიდრთ უცხო ხალხთა ახალ-ახალი ტალღა აწვებოდა და ადგილობრივ მცხოვრებთა ეროვნულ აჭრელებას იწყევდა.

ყველა ამის მიუხედავად ამიერ-კავკასიაც რამდენსამე ისეთ ტერიტორია-

ლურ ნაწილად განიყოფება, რომლის
მცხოვრებთა თვალსაჩინო უმრავლესო-
ბაც ერთს ეროვნუბას შეადგენს. ეროვ-
ნულ პრობლემის სისტემატიურ განხილ-
ვისთვის ადგილობრივ მკეიდრითა წრეებ-
ში მოქცეული ეროვნული უცირესობა-
ნი დროებით ჩვენი გულისყურის გარეშე
უნდა დავტოვოთო და პრინციპიალუ-
რად გამოვარკვეოთ ისეთი ფორმა
სახელმწიფოს მოწყობისა, რომელიც
ადგილობრივ ეროვნულ უმრავლესო-
ბის ინტერესებსაც დაკმაყოფილებს
და სრულიად რუსეთის საყოველთაო
საჭიროებასაც საკმაოდ გაუწევს ანგა-
რიშს. ხოლო შემდეგ, როცა ამ მიზ-
ნის შესაფერ პოლიტიკურ ფორმას
აღმოვაჩენთ, უნდა გამოირკვეს ის
ზომები, რომლებიც უზრუნველპიროვნები
ადგილობრივ ეროვნულ უმცირესობას
შევიწროვებისა და დაჩაგვრისაგან
ეროვნულ უმრავლესობის მხრიց.

ტერორისტორიალურად შემოხაზულ
ერის ძირითადი ინტერესები, რამდე-
ნადაც ამ ინტერესების დაკმაყოფი-

ლება დაკავშირებულია სახელმწიფო-
ებრივ აგებულებასთან თხოულობენ:
რომ 1) ყველა სახელმწიფო, საზოგა-
დოებრივ და სამოსამართლო დაწესე-
ბულებში საქმის წრმოება ადგილობ-
რივ ნაციონალურ ენაზე ხდებოდეს,
რომ მატერიალური კანონმდებლობა,
რომელიც შეიცავს ადგილობრივ ცხოვ-
რების მომაწესრიგულელ ნორმებს, შე-
გუებული იყოს და გამომდინარეობდეს
ადგილობრივ მცხოვრებთა უფლებრივ
შეგნებიდან და ადგილობრივ საზო-
გადოებრივ ძალთა ურთიერთობისაგან
და 3) რომ სახელმწიფო ხელს უწყობ-
დეს ადგილობრივ იკუნომიურ ცხოვ-
რების განვითარებას და ადგილობრივ
ნაციონალურ კულტურის აყვავებას.
თანამედროვე ნაციონალური კოლეგქ-
ტივები ჩვენს დროში ყოველგან სამს
უმთავრეს სოციალურ ჯგუფის ანუ
კლასს შეიცავენ: 1) მსხვილ ბურ-
ჟუაზიას და მსხვილ მენამულეებს, 2)
წვრილ ბურჟუაზიას და გლეხობას და
3) პროლეტარიატს. ეს კლასიური დი-

ფერენციაცია ყველა ერის წიაღში
ერთნაირად ძლიერი არ არის და ერის
შემაღენელი პიროვნებანი რაოდე-
ნობის მხრივ ერთნაირად არ არიან
განაწილებული სოციალურ ჯგუფე-
ბად, მაგრამ იმ საგნისთვის, რო-
მელსაც ჩვენ ვარკვევთ, ამ სხვა და
სხვაობას არსებითი მნიშვნელობა არა
აქვს. არსებითი მნიშვნელობა იმასა
აქვა, რომ ყველა დამორჩილებუ-
ლი ერის უდიდესი ნაწილი ეკუთ-
ვნის ან წვრილ ბურჟუაზიას და გლე-
ხობას, ან პროლეტარიატს ე. ი. დე-
მოკრატიას. მახვილ ბურჟუაზიის და
მსხვილ მემამულეების კლასი ენის
საკითხს სრულიად გულცივად უცემ-
რის. ამ კლასსის წარმომადგენელთ
თავისი მშობლიური ენა, ან უკავში-
მთლად დავიწყებული აქვთ ან თან-
დათან ივიწყებენ. იმათ ცხოვრების
პირობები და მატერიალური ღონის-
ძიება გზას აძლევს ბავშვობიდანვე ისე
საფუძვლიანად შეისწავლონ უცხო სა-
ხელმწიფო ენა, რომ შემდეგ ამ ენის

საშუალებით დაიკმაყოფილონ თავისი
სულიერი შოთხოვნილებანი და სრუ-
ლიად შესტყვიტონ თავისი კაფშირი
ნაციონალურ კულტურასთან. ამ კლასის
წარმომადგენელთათვის არავითარ შე-
ვიწროებას არ წარმოადგენს უცხო
ენის გაბატონება ადგილობრივ დაწე-
სებულებებში, რადგან თვით მათ
უმეტეს შემთხვევაში ეს უცხო ენა
უფრო ემარჯვებათ, ვიდრე თავისი
ნაციონალური ენა. გარდა ამისა ეკო-
ნომიური ინტერესები ამ კლასის წარ-
მომადგენელთათვის საჭიროდ ჰქონის
ურთიერთობის დაჭერას სხვა და სხვა
პირებთან ნაციონალურ ტერიტორიის
გარეშე და ამისთვის კი მათ უცხო
სახელმწიფო ენა უფრო ესაჭიროებათ,
ვიდრე თავისი ნაციონალური ენა. ამი-
ტომ ადგილობრივ დაწესებულებებში
ნაციონალურ ენის შემოღებას მსხვილ
ბურჟუაზიის და მსხვილ მემამულეების
კლასისთვის არავითარი წნიშვნელობა
არა აქვს. პირიქით, წვრილი ბურჟუა-
ზია, გლეხობა და პროლეტარიატი

უამისოდ ყოველთვის დიდ გასაჭირს
განიცდის. უცხო ენის შესწავლა იმდე-
ნად, რომ მან საშობლო ენის მაგიე-
რობა გაუწიოს, მათთვის შეუძლებე-
ლია, და ამიტომ ისინი სახელმწიფო
და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, თუ
იქ ნაციონალური ენა არ იქნა შემო-
ლებული ისეთ მონაწილეობას ვერასო-
დეს ვერ მიიღებენ, რომ სრულად
ისარგებლონ თავის პოლიტიკურ და
მოქალაქურ უფლებებით. ნაციონალურ
კულტურის სისუსტე და განუვითარებ-
ლობა ერის შეძლებულ კლასსებს ადგი-
ლად შეუძლიანთ შეავსონ თავისთვის
უცხო კულტურით, დემოკრატიისთვის
ეს მიუწდომელია. უცხო ენას დემო-
კრატიის ფართო მასსა ვერასო-
დეს ვერ შეისწავლის იმდენად,
რომ ამ ენის საშუალებით დაიკმაყო-
ფილოს თავისი პოლიტიკური, საზო-
გადოებრივი, ესთეტიკური, მეცნიერული
და ფილოსოფიური ინტერესები. ამ
გვარად ადგილობრივ ნაციონალურ
ენის შემოლება სახელმწიფო და სა-

ზოგადოებრივ დაწესებულებებში და
ნაციონალურ კულტურის აუვავება
დემოკრატიის აუცილებელი მოთ-
ხოვნაა.

რაც უფრო წინ მიღის საზოგადოე-
ბის დანაწილება ეკონომიურ კლასსე-
ბად, მით უფრო იზრდება კანონმდებ-
ლობის გავლენა ხალხის ცხოვრებაზე.
კანონმდებლობა თანდათან აფართო-
ვებს იმ საქმეებს, რომელთა მოწეს-
რიგებასაც იგი აღარ ანდობს. ბუნებ-
რივ სოციალურ ერთეულების ან კერ-
ძო პირების ნებაყოფლობას. კანონ-
მდებლობა სახელმწიფოებრივი ბატო-
ნობის მთელის სიძლიერით თხოუ-
ლობს, ყველა მოქალაქე დაემორჩი-
ლოს მის მიერ დაწესებულ ცხოვრების
ნორმებს, და ვინც თავის სურვილით
არ ემორჩილება მას, იმათ ძალით იმო-
რჩილებს. დემოკრატიულ სახელმწი-
ფოში თვით საკანონმდებლო აპარატი
ისეა მოწყობილი, რომ კანონად ცნო-
ბილი ნორმა წარმოადგენს სახელმწი-
ფოს მცხოვრებთა უმრავლესობის უფ-

ლებრივ შეგნების გამოხატულებას. სადაც კანონმდებლობა ჩუქოვრებითა უმრავლესობის შეგნებას არ შეიგუება, იქ დაკანონებულ ნორმების ასასრულებლად სახელმწიფოს ესაჭიროება რთული მექანიზმი მეთვალყურეობისა და ძალდატანებისა. პირიქით, სადაც დაკანონებული ნორმები თვით ხალხის შეგნებიდან გამომდინარეობენ, იქ თვით ხალხი უდგა დარაჯად კანონის ასრულებას. კანონის და უფლებრივი შეგნების უთანხმოება შინაარსის მხრივ გულისხმობს სახელმწიფოსა და ხალხის მოპირდაპირეობას და აქედან გამომდინარე ბრძოლას მათ შორის. ამიტომ, სადაც კანონის შინაარსი არ ეთანხმება ხალხის უფლებრივ შეგნებას, იქ სახელმწიფოს მოქმედებას დემოკრატიული ხასიათი არა აქვს, იქ სახელმწიფო ყველის უწინარეს საპოლიტიკო რეჟიმის დამცველია. თავის თავად ცხადია, რომ ერთს დემოკრატიული ელემენტები უმანსაკუთრებით დაინტერესებული არიან, რომ არსე-

ბითად კანონმდებლობის შინაარსი მათ
უფლებრივ შეგნებას ეთანხმებოდეს
და მათ ძალთა საზოგადოებრივ მნი-
შვნელობას იმ მარტივი მიზეზის გა-
მო, რომ დემოკრატია ერის უმრავ-
ლესობას შეადგენს.

რაც შეეხება ადგილობრივ ეკონო-
მიურ ცხოვრების განვითარებას, ამ
საგნითაც ერის ყველა სოციალური
კლასი და ჯგუფი დაინტერესებულია.
განსაკუთრებით კი პროლეტარიატი
და გლეხობა. მსხვილ ბურჟუაზიისთვის
ეროვნული საზღვრები არ არსებობს
და, თუ ადგილობრივ ხელშემწყობი
პირობები არ იქმნა ეკონომიურ დაწი-
ნაურებისთვის, ის ადვილად დასტო-
ვებს თავის ქვეყანას და იქით გაეშუ-
რება, სადაც ის ასეთ პირობებს შეა-
გულებს. პროლეტარიატს და განსა-
კუთრებით გლეხობას კი უცხო ადგი-
ლას წასვლა ისე არ ეადვილება, რად-
გან უცხო კულტურის ქვეყანაში ის
აუცილებლად შევიწროვებული იქნება
უცხო ენის უცოდინარობის გამო. თუ

გლერი ან მუშა თავის ქვეყანას სტო-
ვებს და სხვაგან მიღის შრომის ფასის
ასალებად, ეს მხოლოდ მაშინ, როცა
ის თავის სამშობლოში უკიდურეს
ეკონომიურ გაჭირებას განიცდის. ამი-
ტომ ეკონომიური წარმატება ყველა
კლასის საერთო ინტერესია, უმთავ-
რესად კი მშრომელი ხალხისა.

ამგვარად, ადგილობრივ სახელმწი-
ფო და საზოგადოებრივ დაწესებულე-
ბებში ნაციონალურ ენის შემოღება,
ნაციონალურ კულტურის აყვავება,
ადგილობრივი ეკონომიური წარმატე-
ბა და კანონმდებლობის თანხმობა
ადგილობრივ მცხოვრებთა უფლებრივ
შეგნებასთან — ყველა ეს აჯგილობრივ
მოსახლე ერის ყველა კლასის და
ჯვუფის საერთო ინტერესს წარმოად-
გენს იმ მცირედის გამოკლებით, რომ
მსხვილი ბურჟუაზია და მსხვილი მემა-
მულეები გულგრილნი არიან ნაციონა-
ლურ ენის და კულტურის საქმეებში.
ისეთი პოლიტიკური ორგანიზაცია კი,
რომელიც რეალურად უზრუნველ-

ჰყოფს ზემოდ დასახელებულ ინტე-
რესებს, არის მხოლოდ ნაციონალურ
ტერიტორიაზე გოწყობილი სახელმ-
წიფო. ამტომ ეროვნული პრობლე-
მების რადიკალური გადაწყვეტა რუ-
სეთში შეიძლება მხოლოდ ნაციონა-
ლურ სახელმწიფოების დაარსებით.

გარდა იმ ინტერესებისა, რომელ-
ნიც გოითხოვენ ნაციონალურ სა-
ხელ მწიფოთა დაარსებას, არსებობს
მეორე რიგი ინტერესების, რომელნიც
თხოულობენ, რომ ამ ნაციონალურ
სახელმწიფოებს ძირითად რუსეთთან
და ერთმანეთთან განსაზღვრული კავ-
შირი ჰქონდეთ. უპირველესი ამ გვარი
ინტერესი არის მოქალაქეთა თავისუ-
თალი მიმოსვლა გხლანდელ რუსეთის
მთელს ტერიტორიაზე, თანასწორობა
ყველგან პირად უფლებათა მხრივ
კანონის წინაშე და უფლება სავაჭრო,
სამრეწველო და ყველა სხვა გვარ
მუშაობისა. ამ ინტერესის უზრუნველ-
საყოფად განსაკუთრებით საჭიროა
რუსეთის მწარმოებელ კლასებისთვის,

მრეწველების და მუშებისთვის, რათა
ნაციონალურ სახელმწიფოთა საზღვრე-
ბი ისეთ ზღუდეებად არ გადიქცნენ,
რომელნიც ქვეყნის ეკონომიკურ დაწი-
ნაურებას შეუდობავენ გზას. ამ ინტე-
რესთან მჭიდროდ არის დაკავშირებუ-
ლი მეორე ინტერესი, რომელიც თხოუ-
ლობს, რომ მთელს რუსეთის ტერიტო-
რია შეადგენდეს მთელს თავის სიკრ-
ცეზე ერთს საბაჟო ერთეულს, რათა
რუსეთის არც ერთს ნაწილს არ შეეძ-
ლოს საბაჟო გადასახადების დაწესე-
ბით ეკონომიკური ექსპლოატაცია აწარ-
მოვოს და მით ხელი შეუშალოს ხალ-
ხის ფართო მასსების ქონებრივ წინ-
მსვლელობას. ხელოვნურად ეკონო-
მიკურ კონკურენციის გაწევა რომ არ
ხდებოდეს რუსეთის სხვი და სხვა ნა-
წილის შეა, საჭიროა აგრეთვე, რომ
სარკინისგზო კანონმდებლობა საერთო
იყოს მთელის რუსეთისათვის თითოეუ-
ლი ნაციონალური სახელმწიფო ცალკე,
რა თქმა უნდა, გაცილებით სუსტი
იქნება საომარ ძალებით, ვიდრე მთე-

ლი რუსეთი ერთად, და იმიტომ საჭიროა რუსეთის ყველა ნაწილები გაერთიანებულ იქმნენ სამხედრო და საერთაშორისო საქმეებისთვის. იმ ინტერესების სია, რომელნიც რუსეთის ნაწილების ერთმანეთთან დაახლოებას და კავშირს თხოულობენ, შეიძლება შეივსოს კიდევ სხვა საქმეთა ჩამოთვლით, მაგრამ აქ ამ საქმეთა სრულს ჩამოთვლას არავითარი საჭიროება არ მოითხოვს. ჩვენი გულისყური აქ იმას უნდა მივაჭრიოთ, რომ ერთი რიგი ინტერესებისა მოითხოვენ რუსეთის ტერიტორიაზე ნაციონალურ სახელმწიფოების დაარსებას, ხოლო მეორე რიგი ინტერესებისა მთელის რუსეთის-თვის ზოგიერთ საქმეთა საერთო გამგებლობის და კანონმდებლობის დაწესებას. საუკეთესო პოლიტიკური ფორმა კი, რომელიც ამ ორთავე რიგის ინტერესებს სრულად დაკამაყოფილებს, არის ნაციონალურ სახელმწიფოთა ფედერაცია რუსეთის ფედერატიულ რესპუბლიკა. ამ ფედერაციის სიმტკიცისა და ძლიერებისთვის საჭიროა

რომ საერთო საქმეთა გამგებლობა
ემყარებოდეს რუსეთის ყველა ხალხთა
წარმომადგენლობაზე და არა ნაციო-
ნალურ სახელმწიფოთა თანხმობაზე.
ეს თანხმობა ცალკე თითოეულ ნაციო-
ნალურ სახელმწიფოსი საჭირო უნდა
იყოს მხოლოდ მაშინ, როცა საკითხი
შეეხება ნაციონ. ლურ სახელმწიფოთა
ურთიერთობას და თითოეულ მათგა-
ნის დამოკიდებულებას რუსეთის ფე-
დერაციასთან. ეროვნულ თანასწორო-
ბის პრინციპი თხოულობს, რომ რუ-
სეთში მოსახლე ყველა ტერიტორია-
ლურ ერს თავისი ნაციონალური სა-
ხელმწიფო ჰქონდეს. თავის თავად
(კხადია, ასეთი ნაციონალური სახელ-
მწიფო უნდა დაარსდეს იმ ტერიტო-
რიაზედაც, სადაც რუსის ხალხი მო-
სახლეობს. ამ გვარად მთელი რუსეთი
დაიყოფა ტერიტორიალურ ერთეულებ-
ბად და ეს ერთეულები შეადგინენ
ერთად რუსეთის ფედერაციას. ეს
დაყოფა ეროვნულ მოსახლეობის მი-
ხედვით უნდა მოხდეს, მაგრამ რუსე-
თის ისეთ განაპირა ნაწილისაგან რო-
გორიც ციქიბირია, შეიძლება განსა-
კუთრებით ერთეული შესდგეს, თუ კა
ციმბირის მოსახლეობა უმთავრესად

რუსებისაგან შესდგება. ციმბირისაგან ცალკე სატერიტორიო ერთგულის შექმნა აკმაყოფილებს თვით ციმბირელების საზოგადოებრივ აზრს და შეეთანხმება იმ ინტერესთა სხვა და სხდაობას, რომელსაც ციმბირის ადგილობრივი ცხოვრება წარმოადგენს ძირითად რუსეთთან შედარებით.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ რუსეთში არსად ისეთი ტერიტორიალური კუთხე, არ მოიძებნება, რომ ყველა იმისი მკეთრებნი ერთს ეროვნულს კოლექტივს შეადგენდნენ. პირიქით ყველგან სხვა და სხვა ერის წარმომადგინელნი სცხოვრობენ ერთმანეთის მეზობლად. ნაციონალურ სახელმწიფოს ტერიტორია ეტნოგრაფიულ მოსახლეობის მიხედვით შემოიფარგლება, მაგრამ მაინც ამ ტერიტორიაზე გარდა იმ ერისა, რომელსაც მოსახლეობის უმრავლესობა მიეკუთვნება, აღმოჩნდებიან სხვა ერების წარმომადგენელნი. თუმცა ეს უკანასნელნი ნაციონალურ სახელმწიფოს მცხოვრებთა უმცირესობას შეადგენენ, მაგრამ ამ უმცირესობის ნაციონალური კულტურული ინტერესები მაინც უზრუნველყოფილ უნდა იქმნენ.

ეს უზრუნველყოფა უნდა გამოიხატებოდეს ერთის მხრივ იმაში, რომ ნაციონალურ უმცირესობის წარმომადგენლებს უნდა მიეცეთ უფლება ეროვნულ-კულტურულ კავშირების დაარსებისა და თავის საკუთარის ძალებით ეროვნულ განათლების და კულტურულ საქმეების გამგებლობისა, მეორეს მხრივ კი მათი ინტერესების უზრუნველყოფა უნდა გამოიხატოს იმაში, რომ სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებში ეროვნულ უმცირესობის წარმომადგენლებს უნდა მიეცეთ უფლება თავის სამშობლო ენის ხმარებისა. ეროვნულ უმცირესობათა კულტურულ ინტერესების უზრუნველყოფა ისეთი წესით უნდა მოხდეს, რომ რაიმე გარანტია ჰქონდეს ამ უმცირესობას უმრავლესობის წინააღმდეგ. ამისთვის იმ კანონების ასრულება, რომელნიც შეიცავენ ეროვნულ უმცირესობათა ინტერესების მფარველობას, უზრუნველყოფას უნდა იყოს ნაციონალურ სახელ-მწიფოთა ფედერაციის მიერ: ან რუსეთის ფედერატულ რესპუბლიკის კონსტიტუციაში უნდა აღინიშნოს დაწვრილებით ნაციონალურ უმცირესობათა

უფლებები, რომელთა გარანტიასაც
თვით ფედერაცია იძლევა, ან ნაციო-
ნალურ სახელმწიფოთა იმ ძირითად
კანონებში, რომელთა შეცვლა ფედე-
რაციის თანხმობის გარეშე შეუძლებ-
ლად იქნება აღიარებული.

ამ ზოგად განმარტებათა შემდეგ
საჭიროა გამოირკვეს, როგორ უნდა
მოეწყოს განახლებულ რესეტში კერ-
ძოდ ამიერ-კავკასიის ერების ცხოვ-
რება. ერთის მხრივ ამიერ-კავკასია
ტერიტორიალური ერთეული, რომე-
ლიც დღემდე საადმინისტრაციო ერ-
თეულსაც შეადგენდა, ხოლო მეორეს
მხრივ იგი დაშორებულია ერთმანე-
თისაგან ენით, კულტურით და სარწ-
მუნიკებით განსხვავებული ერებით,
ქართველებით, სომხებით, თათრებით
და მთიელებით (უმთავრესად ლეკე-
ბით). ტერიტორიალური მთლიანობა
გულისხმობს ერთ რიგს ინტერესებს,
რომელნიც საერთო არიან ამიერ-კავ-
კასიის ყველა ერებისთვის, ხოლო მო-
სახლეობის ეროვნული სხვა და სხვაო-
ბა გულისხმობს მეორე რიგის ინტე-

რესებს, რომელნიც განსხვავებული
არიან თითოეულ ერისთვის. პირვე-
ლი რიგის ინტერესები ლოლიკურად
მოითხოვენ ამიერ-კავკასიის გადაქცე-
ვას ერთ თვითმმართველ ტერიტორ-
იალურ ერთეულად, მეორე რიგის
ინტერესები მოითხოვენ ამიერ-კავკა-
სიის დანაწილებას რამდენსამე ნაციო-
ნალურ თვითმმართველ ერთეულად. მა-
შასადამე იბადება საკითხი, ამერ-
კავკასიის თვითმმართველობა თუ სა-
ქართველოს, სომხეთის, მუსულმანე-
ბის და დალესტნის თვითმმართველო-
ბა? შესაძლებელია აგრედვი დაარს-
დეს ამიერ-კავკასიის ერების თვით-
მმართველობანი და ამ თვითმმართვე-
ლობათა კავშირი ანუ ფედერაცია
მთელს ამიერ-კავკასიაში. იმის გამო-
სარკვევად, თუ რომელი კომბინაცია
უფრო ხელსაყრელია, ყოვლის უწინა-
რეს საჭიროა გავითვალისწინოთ ის
საერთო ამიერ-კავკასიური ინტერესე-
ბი, რომელთაც აუცილებლად ანგარი-
ში უნდა გაეწიოს.

წმინდა საერთო ამიერ-კავკასიური
ინტერესები არსებობენ იმდენად, რამ-
დენადაც ამიერ-კავკასიის ტერიტო-
რიალური მთლიანობა თხოულობს სა-
ერთო სატერიტორიო საქმეების სა-
ერთო გამგებლობას. ამ გვარ საერ-
თო საქმეებად უნდა ჩაითვალოს ამი-
ერ-კავკასიის წყოების, ტყეების და
მიმოსვლის საქმეები. სარწყავ წყლებს
ამიერ-კავკასიის მეურნეობისთვის არ-
სებითი მნიშვნელობა აქვთ. სარწყავი
წყლები ამიერ-კავკასიის მრავალ ად-
გილას, მაგალითად განჯის გუბერნია-
ში, პირდაპირ ადგრლობრივ მეურნეო-
ბის ამამოძრავებელი ძალაა. სარწყა-
ვი მდინარეები კი მომეტიბულ ნაწი-
ლად დიდ მანძილზე მიმდინარეობენ
და სხვა და სხვა ერთ დასახლებულ
ადგილებს გადასჭრიან. ამიერ-კავკა-
სიის (დალესტნის გამოკლებით) $\frac{3}{4}$ ნა-
წილი ეკუთვნის მტკვრისა და იმის
შესართავის აუგზის წყალთა ბასეინს;
მტკვარს სათავე ყარსის ოლქში აქვს,
არდაგანის მახლობლად, სადაც მუ-

სულმანები და სომხები მოსახლეობენ, მომდინარეობს ახალქალაქის, ახალციხის, გორის, ტფილისის და ბორჩალოს შაზრებზე და შემდეგ განჯისა და ბაქოს გუბერნიებზე კასპიის ზღვამდე. მტკვრის ეს გრძელი გზა სჭრის ჯერ სომხებით, შემდეგ ქართველებით და ბოლოს მუსულმანებით დასახლებულ ადგილებს. ამიერ-კავკასიისთვის აღმოსავლეთ ნაწილისთვის მტკვარი უმთავრესი სარწყაფი ძარღვია. განსაკუთრებით დიდი საირრიგაციო მნიშვნელობა ექნება მტკვარს ამიერ-კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილისთვის, როცა იმის უჩრავა მინდგრებისკენ მტკვრიდან არხებს გაიყვანენ სარწყაფად. ეჭვს გარეშეა, ამიერ-კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილის მცხოვრები მუსულმანები და სომხები დაინტერესებული არიან, რომ ამ მდინარეს მათდა საზიანოდ წყლის სიმცირე არ ეტყობოდეს. მდინარეების წყლის სიუხვე დამოკიდებულია სხვათა შორის ტყეების დაცვაზე მთიან

ადგილებში. მაშასადამე ტყის საქმეც
ამიერ-კავკასიის მცხოვრებთა ერთ-
გვარ საერთო ინტერესს წარმოადგენს.
ამიერ-კავკასიის ყველა მცხოვრებთა
საერთო ინტერესს წარმოადგენს აგ-
რედვე იმ გზების შენახვა, რომელ-
ნიც აერთებენ ამიერ-კავკასიას ერ-
თის მხრივ ცენტრალურ რუსეთთან
და მეორეს მხრივ უცხო ქვეყნებთან
შავი ზღვით და რაოდენადმე კასპიის
ზღვით.

მდინარეების მოდლა, ტყეების და-
ცვა და გზების შენახვა — აი ის უმთა-
ვრესი საქმეები, რომელნიც ამიერ-
კავკასიის ტოპოგრაფიული მთლიანო-
ბის გამო ამიერ კავკასიის ყველა
მცხოვრებთა საერთო ინტერესს შეი-
ცავენ. ურშველია, რომ ამ საერთო
ინტერესის საქმეებს ჯეროვანი ანგა-
რიში უნდა გაეწიოს, მაგრამ ამისათ-
ვის რომ აუცილებელი იყოს ამიერ-
კავკასიის თვითშიმართველობას უპირა-
ტესობა მიეცეს კავკასიაში მცხოვრებ
ერების თვითშიმართველობის წინაშე —

იმისი თქმა გადაჭარბება იქნებოდა.
1909 წელს ყოფილ მეფის ნაცვლის
ვორონცოვ - დაშვილის ინიციატივით
კავკასიის ყველა გუბერნიებსა და ოლ-
ქებში გაიმართა საგუბერნიო და სა-
ოლქო თათბირი საერობო თვითმართ-
ველობის შესახებ. ამ თათბირზე არ-
კვევდნენ სხვათა შორის საერობო ერ-
თეულების საკითხს საერთოდ და კავ-
კასიის საერთო საერობო დაწესებუ-
ლებათა საჭიროების საკითხს კერძოდ.
დიდი უმრავლესობა თათბირზე მი-
წვეულ საზოგადო მოლვაწეებისა და
ადმინისტრატორებისა მაშინ ამიერ-
კავკასიის საერთო საერობო ერთეუ-
ლის დაარსების წინააღმდეგი იყო,
ასევე უარყოფით შეპერდეს ამ საკითხს
1916 წელს ყოფილ მეფის ნაცვლის
ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის ინიციატი-
ვით გამართულ თათბირზე. და მართ-
ლაც, თუ ყურადღება მივაქციეთ იმას,
რომ ამიერ-კავკასიის ბუხოვრებნი
მხოლოდ ხელოვნურად იყვნენ მოქ-
ცდული ერთ საადმინისტრაციო ერთე-

ულში, არსებითად კი კავკასიელი ერე-
 ბი დიდად განსხვავდებიან ერთმანე-
 თასაგან როგორც კულტურის, აგრეთ-
 ვე სამეურნეო ცხოვრების პირობებით.
 შეუძლებელია ამიერ კავკასის თვით-
 მმართველობას მსხვერპლად შეეწიროს
 იმის ერების თვითმმართველობა. არ
 უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამიერ-კავ-
 კასის ერებს საერთო ენა არა აქვთ
 და, თუ ამიერ კავკასიის საერთო წა-
 რმომადგენლობითი დაწესებულება და,
 წესდა, რქ ქართველები, თაორები,
 სომხები და მთიელები ერთმანეთს
 რუსული ენით უნდა ელაპარაკონ. იმ
 მდინარეების, ტყეების და გზების მო-
 ვლა - გამგებლობისთვის, რომელნიც
 ამიერ-კავკასიელებისთვის საერთო ინ-
 ტერესს წარმოადგენენ, სრულიად სა-
 კმაოდ უნდა ჩაითვალოს ისეთი დრო-
 ებითი ანუ მუზმივი კავშირის დაწე-
 სება, რომლის საფანიც სწორედ ამ
 საქმეების მოვლა იქნება. ორიოდე სა-
 ერთო საქმის მიზეზით მთელ ამიერ-
 კავკასიის გაერთიანება ერთს თვით-

მმართველ ერთეულად ისეთ ანორმა-
ლურ მდგომარეობას დაამყარებდა,
რომ ყოველ საქმეში თითოეული ამი-
ერ-კავკასიელი ერი თავის საკუთარ
ნაციონალურ თვალსაზრისით იხელმ-
ძლვანელებდა და ყოველ საქმის გადა-
წყვეტას თავისდა სასარგებლოდ მოი-
სურვებდა. ამ სეპარატიულ ინტერე-
სების თვალსაზრისით შესაძლო იქნე-
ბოდა არა ოფიციალური შეერთება
ერებისა ერთმანეთის წინააღმდეგ და
თითქმის ყოველი საკითხი გადაწყდე-
ბოდა ერთის ან ორის ერის სასარგე-
ბლოდ სხვა ერების საზიანოდ. თუ
ამიერ კავკასიის ერთეული დაარსდა,
რა თქმა უნდა იმას საერთო ფინანსე-
ბიც ექნება. უმთავრესი ან თვალსაჩი-
ნო ნაწილი ამ ფინანსებისა მომხმარ-
ება ისეთ საქმეებს, რომელთაც იმ-
დენად საერთო ამიერ-კავკასიური მნი-
შვნელობა არა აქვთ, რამდენადაც ად-
გილობრივი. მაგალითად, შეიძლება
დავასახელოთ სხვა და სხვა აგრონო-
მიულ დაწესებულებათა მოწყობა, რო-

მელთა საერთო მიზანიც სასოფლო
მეურნეობის დაწინაურებაა იმისდა-
მიხედვით, თუ სახელდობრ საღ გაი-
მართება ასეთი დაწესებულებანი და
რა შინაარსი ექნებათ მათ, ამ საჭმე-
უბზე დახარჯული საერთო თანხა ამიერ-
კავკასიის ერთი ნაწილისთვის სასარ-
გებლო იქნება, სხვებისთვის კი ხში-
რად სრულიად უმნიშვნელო. ჭაობე-
ბის აძლეობას, მაგალითად, დიდი
მნიშვნელობა აქვს ამიერ კავკასიის და-
სავლეთ ნაწილისთვის ოოგორც ჯან-
მრთელობის მხრივ აგრეთვე მეურნეო-
ბის მხრივ, აღმოსავლეთ ნაწილისთვის
კი ამას შედარებით ნაკლები მნიშვნე-
ლობა აქვს. ამიერ კავკასიის უწყლო
მინდვრების სარწყავად საირრიგაციო
არხების გაყვანას პირიქით დიდი მნი-
შვნელობა ექნება ამიერ კავკასიის
აღმოსავლეთ ნაწილისთვის და უმნი-
შვნელო იქნება დასავლეთ ნაწილის-
თვის. ამ ინტერესთა სხვადასხვაობის
და წინააღმდეგობის ნიადაგზე ამიერ-
კავკასიის ერთეულში აუცილებლად

გაჩნდება ბრძოლა, რომელიც დიდს
ენერგიას დაახარჯვინებს ამიერ-კავკა-
სიის ყველა ერებს სრულიად უსარგე-
ბლოდ და უნაყოფოდ. ყველა ამ მო-
საზრებით ამიერ-კავკასიის გადაქცევა
ერთ თვითმმართველ ტერიტორიალურ
ერთეულად უარყოფილ უნდა იქმნას
და უნდა დაარსდეს იმის მაგიერ რამ-
დენიმე ერთეული ნაციონალურ მოსა-
ხლეობის მიხედვით, რომელნიც შემ-
დეგ შეიძლება ერთმანეთს დაუახლო-
ვდნენ მდინარეების, ტყეების და გზე-
ბის საერთო საქმეების მოსაწყობად
ან მუდმივის ან დროებითის კავშირის
შეკვრით. ყველა ის საკითხები, რო-
მელნიც აუცილებლად იბადებიან ყო-
ველ ნაციონალურად შერეულ მოსახ-
ლეობის ერთეულში და სასტიკ ბრძო-
ლას იწვევენ ერთა შორის, ამით თა-
ვიდან ასცილდებათ ამიერ კავკასიის
მკვიდრთ და საშუალება მიეცემა თი-
თოეულ მათგანს მთელი თავისი ძალ-
ლონე თავის ქვეყნის მყუდრო კულ-
ტურულ განვითარებას მოახმაროს.

რა ნაციონალურ - ტერიტორიალურ ერთეულებად შეიძლება გაიყოს ამი- ერ-კავკასია? — ეს მეტად რთული სა- კითხია, რომლის გადასაწყვეტადაც მხედველობაში უნდა იქმნას მიღებუ- ლი მოსახლეობის სტატისტიკა, ეკო- ნომიკურ ინტერესების მთლიანობა, ტერიტორიალური ჯაერთიანება და სხვა. 1915 წლის სასტატისტიკო ცნო- ბებით ამიერ-კავკასიის მცხოვრებთა საერთო რიცხვი 7.865,676 სულს შე- ადგენს. ამათგან უდიდეს ეტნოგრა- ფიულ ჯგუფს შეადგენენ სხვა და სხვა აზიურ მოდგმის მუსულმანები, შემ- დეგ სომხები, მერე ქართველები, მთიე- ლები და ბოლოს რუსები მუსულმა- ნები ითვლებიან. . . . 2.411,797	
სომხები	1.966,665
ქართველები	1.881,112
მთიელები	713,651
რუსები	608,185
სხვები	284,266
სულ	7.474,794

რუსები ამიერ-კავკასიას არც ერთ
ნაწილში კომპაკტურ მოსახლეობას

ღ წარმოადგენენ. ისინი უმთავრესად
დიდ ქალაქებში, ბაქოს და ტფილის-
ში სცხოვრობენ. ამიერ-კავკასიელ რუ-
სების დადი ნაწილი მოხელეები არი-
ან და სამსახურის გამო სცხოვრობენ
აქ. რუსების გამოკლებით ოთხი დი-
დი ეტნოგრაფიული ჯგუფი: მუსულ-
მანები, სომხები, ქართველები და
მთიელები. უდიდეს ეტნოგრაფ ულ
ჯგუფს, მუსულმანებს, შეადგენენ ადერ-
ბეიჯანელი თათრები, თურქები, თურქ-
მენები, ყარაპაპახები, ნოგაელები, ყუ-
მისები, ყარაჩაელები, ტრუხმენები და
სხვანი. თუმცა ამ მუსულმანებს ერთ-
მანეთისაგან ენის, ჩვეულებების, ხა-
სიათის და სამეურნეო ცხოვრების
მხრივ განსხვავებაცა აქვთ, მაგრამ
საერთო რელიგია მათ ერთმანეთთან
აახლოვებს და აკავშირებს. ადერბიე-
ჯანული თათრული ენა თიაქმის ყე-
ლა ამ მუსულმანებს საკმაოთ ესმით
და ამიტომ ეს ჯგუფი ერთ ნაციონა-
ლურ ერთეულად შეიძლება ჩაითვა-
ლოს, მით უმეტეს რომ ასე უცქერი-

ან თვით ისინი თავის თავს. ეს მუ-
სულმანები უმთავრესად ამიერ-კავკა-
სიის აღმოსავლეთ ნაწილში მოსახ-
ლეობენ, უმთავრესად ბაქოს და გაქ-
ჯის გუბერნიიებში. ბაქოს გუბერნიის
ექვსსავე მაზრაში მუსულმანები მცხოვ-
რებთა საერთო რიცხვის დიდს უმ-
რავლესობას შეადგენენ; ამ გუბერ-
ნიის მხოლოდ ორ მაზრაში, გეოგრაფის
და შემახის მაზრაში, მოსახლაობის
თვალსაჩინო უმცირესობას შეადგენენ
სომხები და ერთ მაზრაში, სახელ-
დობრ კუბის მაზრაში—მთიელები.
სომხები ირიცხებიან გეოგრაფის მაზ-
რაში 17,218 სული და შემახის მაზ-
რაში 21,720 სული. კუბის მაზრაში
კი 195,688 მცხოვრებიდან მთიელე-
ბი შეადგენენ 50,444 სულს. განჯის
გუბერნიის შეიდან მაზრაში (არეშის,
ჯავანშირის, ელისავეტპოლის, ზანგე-
ზურის, ყაზახის, კარიაგინის და ნუ-
ხის მაზრებში) მცხოვრებთა უმრავლე-
სობას იგივე მუსულმანები შეადგენენ,
თუმცა ამ მაზრებში ყველგან სომეხ-

თა საკმაოდ - თვალსაჩინო რიცხვი
სცხოვრობს; ელიზავეტპოლის მაზრა-
ში, მაგ. საერთო რიცხვი მცხოვრებ-
ლებისა არის 273,216, ამათში მუ-
სულმანებია 185,554 და სომები 61,610;
მაშასადამე აქ სომხები მუსულმანთა
რიცხვის ერთ მესამედს შეადგენენ.
ჯევანშირის მაზრაში სომხები მუსულ-
მან მცხოვრეათა ნახევარზე ცოტა
მეტს შეადგენენ, ზანგეზურის მაზრა-
ში მუსულმანები 185,553 მცხოვრე-
ბია, სომები 103,096, ე. ი. მუსულმა-
ნების საერთო რიცხვის ნახევარზე
მეტი. ყაზახის მაზრაში მუსულმანები
არიან 66,880 და სომხები ცოტა ნაკ-
ლები 61,190. ერევნის გუბერნიის
შეიდი მაზრიდან მუსულმანები მცხოვ-
რებთა უმრავლესობას შეადგენენ ოთხ
მაზრაში, ნახიჩევანის, სურმალინის,
შარუხო-დარალაგეზის და ერევნის მაზ-
რებში. ყველა ამ მაზრებში მცხოვრებ-
თა თვალსაჩინო უმცირესობას შეად-
გენენ სომხები. ტფილისის გუბერნიის
ერთ მაზრაში, სახელდობრ ბორჩალოს

მაზრაში. მცხოვრებთა უმრავლესობას
იგივე მუსულმანები შეადგენენ. და
აქაც თვალსაჩინო უმცირესობას სომ-
ხები შეადგენენ. ამ გვარად, მუსულ-
მანები შეადგენენ მცხოვრებთა უმ-
რავლესობას მთელს ბაქოს გუბერნია-
ში, მთელს განჯის გუბერნიაში შუშის
მაზრის გამოკლებით, ერევნის გუბერ-
ნიის ოთხ მაზრაში ნახიჩევანის, სურ-
მილინის, შარუხო-დარალაგეზის და
ერევნის მაზრაში და ტფილისის გუ-
ბერნიის ბორჩალოს მაზრაში. მთელს
ამ ტერიტორიაზე მცხოვრებთა საერ-
თო რიცხვი შეადგენს 2 571,102, ¹⁾ აქედან მუსულმანები არიან 1.907,586
და თვალსაჩინო უმცირესობას შეად-
გენენ სომხები, რომელთა რიცხვიც

¹⁾ ეს სტატისტიკური ცნობები გუ-
ბერნიებსა და მაზრებში მცხოვრებთა
დანაწილების შესახებ ეროვნების მიხედ-
ვით და აგრედვე ქმემოდ მოხსენებული
ცნობები ამოღებულია 1914 წლის სა-
პოლიციო ცნობებიდან.

არის 713,134. ამ ტერიტორიას შეიძლება შეუერთდეს განჯის გუბერნიის შუშის მაზრა, სადაც 91,018 სომეხი მოსახლეობს და 78,226 მუსულმანი, და გამოეკლოს ერევნის გუბერნიის ერევნის მაზრა, სადაც 89,948 მუსულმანი მოსახლეობს და 75,324 სომეხი ამ შემთხვევაში შესდგება მთლიანი ტერიტორია ბაქოს და განჯის გუბერნიების, ბორჩალოს მაზრისა და ერევნის გუბერნიის სამი მაზრისაგან (სურმალინის, ნახიჩევანის და შარურო-დარალაგეზის მაზრებისაგან). ამ ტერიტორიის მცხოვრებთა საერთო რიცხვი იქნება 2.557,855, რომელთაგან მუსულმანები იქმნებიან 1.895,864 და სომხები 728,828.

სომეხთა მოსახლეობა უმრავლესობას შეადგენს ერევნის გუბერნიის ალექსანდროპოლის, ახალბაიაზეთის და ეჩმიაძინის მაზრებში, უკანასკნელორ მაზრაში თვალსაჩინო უმცირესობას შეადგენენ მუსულმანები (101.331), ტფილისის გუბერნიის ახალქალაქის

მაზრაში, ყარსის ოლქში და განჯის
გუბერნიის შუშის მაზრაში. ამ ტერი-
ტორიას რომ გამოვაკლოთ შუშის
მაზრა და მიუმატოთ ერევნის მაზრა,
მივიღებთ საკმაოთ დიდს მთლიანს
ტერიტორიალურ ერთეულს, რომლის
მცხოვრებთა უმრავლესობასაც სომხე-
ბი შეადგენენ. მთელს ამ ტერიტო-
რიაზე (ახალქალაქის მაზრა, ყარსის
ოლქი, ალექსანდროპოლის, ახალბაია-
ზეთის, ეჩმიაძინის და ერევნის მაზრე-
ბი) მცხოვრებთა საერთო რიცხვი
შეადგენს 1.098,322 ამათგან უმრავლე-
სობას შეადგენენ სომხები 685,201, ²⁾
თვალსაჩინო უმცირესობას მუსულმა-
ნები 236,965 და ნაკლებს უმცირესო-
ბას ქართველები 42,140.

კავკასიის მთიელების ერთი ნაწილი
ჩრდილოეთ კავკასიაში მოსახლეობს,
მეორე ნაწილი ამიერ-კავკასიაში, უმ-

²⁾) ყარსის ოლქის ორი ნაწილი, ყა-
გისმანის და ოლთისის ოლქები, ნაანგა-
რიშევი არ არის.

თავრესად დალესტნის ოლქში. ამიერკავკასიელ მთიელების ჯვაფს შეადგენენ ჩეჩენები, ქისტები, ინგუშები და ლეკები; ეს უკანასკნელნი თავის მხრივ განიყოფებიან ავარცებად, ანდიელებად, ქურინელებად, ლაკებად, უდინებად და სხვა. დალესტნის და ზაქათალის ოლქებიდან, სადაც მი:იელები მცხოვრებთა უმრავლესობას შეადგენენ, შეიძლება შესდგეს ერთი ტერიტორიალური ერთეული. ამ ერთეულის მცხოვრებთა საერთო რიცხვი იქნება 785,987, ამათგან 672,916 შეადგენენ მთიელები და 21,544 მუსულმანები.

უმრავლეს მოსახლეობას ქართველები შეადგენენ ბათომის ოლქში, ქუთაისის გუბერნიაში, სოხუმის ოლქში და ტფილისის გუბერნიის ყველა მაზრებში ახალქალაქის და ბორჩალოს მაზრების გამოკლებით. ყველა ეს ადგილები ერთად შეადგენენ მთლიან ტერიტორიას, რაჭის სივრცეც უდრის 54.916,40 კვ. ვერსტს. მცხოვრებთა

საერთო ოიცხვი შეადგენს 2.560,945, მათგან უმრავლესობას (70%) შეადგენენ ქართველები ³⁾ 1.791.634, უმცირესობას—ქართველი ებრაელები 31,059 (1,21%), აფხაზები—103,164 (4,02%), სომხები—281,719 (11%) რუსები 172.869 (6,75%) ოსები 49,100 (16,64%) მაჰმადიანი სუნიტები 42,215 (1,68%) და მაჰმადიანი შიიტები 18,965 (0,74%). საქართველოს შეიძლება შეუერთდეს ავრედვე ზაქათალის ოლქის სამხრეთი ნაწილი, სადაც მოსახლეობენ 4370 ქართველი ქრისტიანენი და 8,000 ინგილო, და ბორჩალოს მაზრის ნაწილი, სადაც ავრედვე 10,022 ქართველი მოსახლეობს და ტფილისის მაზრას ეკვრის.

ამ გვარად ამიერ-კავკასიაში, ჩვენის აზრით, შეიძლება დაარსდეს ოთხი ტერიტორიალურ ერთეული საქართველო, სომხეთი, ადერბეიჯანი

³⁾ სტატისტიკური ცნობები საქართველოს შესახებ 1915 წლისაა.

და დალესტანი. ჩვენ მიერ ზემოდ ნა-
ჩვენები საზღვრები ამ ერთეულებისა-
შერძლება რაოდენადმე შეიცვალოს,
თუ ცვლილება მეტს სამართლიანო-
ბას შეიტანს ამიერ-კავკასიის ერების
ტერიტორიალურ გამიჯვნის საქმეში,
ამ გამიჯვნის შესახებ საჭიროა ყველა
კავკასიელ ერების წინასწარი შეთან-
ხმება, რადგან წინააღმდეგ შემთხვე-
ვაში ჩვენი უთანხმოებით ისარგებლე-
ბენ ისინი, ვინც პრინციპიალურად
წინააღმდეგნი არიან, რომ ამიერ-კავ-
კასიაში მცხოვრებ ერებს ნაციონა-
ლურ-კულტურულ განვითარებისთვის
თავისუფალი გზა გაიხსნას. შეთანხმე-
ბა უნდა მოხდეს სამართლიანობის მი-
ხედვით და დათმობის საშუალებით.
არ შეიძლება დავმალოთ, რომ ამიერ-
კავკასიის დასავლეთი ნაწილი ამ
მხრივ უკეთეს მდგომარეობაშია, ვიდ-
რე აღმოსავლეთი ნაწილი. განსაკუთ-
რებით მძიმე მდგომარეობაში იმყო-
ფებიან სომხები, რომელთა 50% , მე-
ტი სომხეთის გარეშე რჩებიან და

უმეტეს ნაწილად ადერბეიჯანის ერთეულში მოქმედებიან. მაგრამ ყველა ამიერ-კავკასიელ ერს განვითარებისთვის მაინც გაცილებით უკეთესი პირობები ექნება, ვიდრე უამრეფორმოდ. ნაციონალურ-ტერიტორიალურ ერთეულების შექმნის შემდეგ ერთის მხრივ ბუნებრივად და უმტკივნეულოდ მოხდება თანდათან ეროვნებათა შეგროვება თავთავის ერთეულში, ხოლო მეორეს მხრივ ყველასათვის უზრუნველყოფილი იქნება რუსეთის ფედერატიულ რესპუბლიკის ძირითადი კანონით ის უფლებები, რომლებიც კი შესაძლოა მიეცეს ნაციონალურ უმცირესობას სახელმწიფოში, უფლება ეროვნულ ნაციონალურ კავშირებისა, პირველდაწყებით განათლების მიღებისა სამშობლო ენაზე და სამშობლო ენის ხმარებისა დაწესებულებებში.

გრ. რცხილაძე.

34

996

9341/00